ამრიგად, მუტიზმი არის ფსიქოგენური წყების ფუნქციონალური დანართი სმენის კონტროლის სწრაფი გამოვარდნის შედეგად. მეტველების მოშლის ნაწილი, რომელიც მიმდინარეობს ხმოვანი იოგების მამოძრავებული პუნქტების პარეზებით ან სპაზმებით, ანალოგიურია კიდურების აკინეზიების და ჰიპერენეზიებისა და უდაოდ ფიზიოგენურია. მათ საფუძვლად უდევთ ვეგეტატიური გაღაბრები დაქანცვის, აღინაშის ან გაღიზიანების, ჰიპერდინამიის მიმართულებით. ეს კი შესაძლებელია გამომდინარეობდეს ტვინის ლეროს დაზიანებიდან.

ზემოაღნიშნული ოტოლარინგოლოგიური გამოკვლევები და მათი შედეგები არა მხოლოდ თუ უადგილებენ ოტოლარინგოლოგს მუშაობას დააგნოსტიკის,

ექსპერტიზისა და მკურნალობის საქმეში, არამედ მათ შეაქვთ აგრეთვე ერთგვა-  
 რი გარკვეულობა ჰაეროვანი კონტუზით წარმოშობილი ქალასტვინის დახურუ-  
 ლი ჭრილობების პრობლემის გადაწყვეტაში.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
 აკად. ნ. მარის სახელობის ენის იმსტიტუტი  
 თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 19.10.1942)

## МЕДИЦИНА

ა. კ. ЧАРГЕЙШВИЛИ

### ВОПРОСЫ ДИАГНОСТИКИ, ЛЕЧЕНИЯ И ЭКСПЕРТИЗЫ ПОРАЖЕНИЯ СЛУХА И РЕЧИ У КОНТУЖЕННЫХ

#### Резюме

Автор на большом материале N эвакуационного госпиталя провел наблюдения над контуженными больными с пораженным слухом и речью и делает следующие выводы:

1. Для определения характера поражения слуха и речи необходимо использовать известные отоларингологические методы, как-то: отоскопию, акуметрию, вестибулометрию и ларингоскопию.

2. Отсутствие слуха на высокие тона при наличии звукосприятия на низкие—на фоне общего, резкого понижения слуха, повышение и понижение возбудимости вестибулярного аппарата или полное угнетение его функции и парез взора, в сопровождении нарушения вегетативной координации, являются показателями органической основы поражения слуха; отсутствие же таковых—функциональной.

3. Мутизм является функциональным наслоением, чаще всего в результате внезапного выключения слухового контроля. Расстройства речи, сопровождающиеся парезами или спазмами голосовых связок, носят физиогенный характер и связаны с микроструктурными изменениями ядер вегетативной нервной системы.

4. Парез взора среди контуженных встречается нередко, но он может быть выявлен большей частью посредством калоризации. Наличие его указывает на поражение ядер п. п. abducens, oculomotorius и fasciculus longit. post.

5. Причина органического поражения слуха может лежать непосредственно в периферическом слуховом аппарате или же в проводящих путях и ядрах слухового нерва.

6. Лечение фарадизацией по методу Бабинского—Кауфманна, в подавляющем большинстве функциональных случаев, дает блестящий эффект. В органических—изредка наступающее частичное восстановление слуха происходит, повидимому, за счет функциональных наслоений.

Академия Наук Грузинской ССР  
Институт языка имени акад. Н. Я. Марра  
Тбилиси

#### СОДЕРЖАНИЕ—ЦИТИРОВАННАЯ ЛИТЕРАТУРА

1. М. И. Астрапатуров. Об истерической глухоте в связи со слухом травмами военного времени (истеротравматическая глухота) (по книге „Избранные вопросы военной отоларингологии“ проф. В. И. Воячека, стр. 147. Ленинград, 1934).
2. М. Б. Кроль. Невропатологические картины при закрытых трагмах черепа. Труды центрального института психиатрии, том 1. Москва, 1947.
3. Врачебная газета, № 37, 1917 г. (прения по докладу М. Б. Шапиро о контузиях).
4. С. Н. Ржевкин. Слух и речь в свете современных физических исследований. 1936, стр. 15.
5. М. Б. Кроль. Журнал невропатологии и психиатрии им. Корсакова, № 4—5—6. Москва, 1917.
6. Я. С. Темкин. Болезни уха. Под редакцией Компанейца. Киев, 1937, стр. 1124.
7. Болезни уха. Под редакцией Компанейца, стр. 1129.
- 8 Stephan Kerpitsch. Zeitschr. f. Hals—Nasen—Ohrenheilk. T. 37. № 5. (Реферат в журн. „Русская отоларингология“, № 2, 1935).



ფიზიკურიკია

ა. მოსიავა

ჩვენი ზოგიერთი თვლის ოცობითობიდან გამომდინარე ზოგიერთი  
 სიძელე

ცდები გამოკლებაზე<sup>1</sup>

I. მაგალითების დახასიათება

ორნიშნა რიცხვთა გამოკლების ცდები ჩატარებული იყო 34 ტიპიურ მა-  
 გალითზე. ცდები გამოყენებული იყო შემდეგი ვარიანტებით:

1) ა. მაგალითები, რომელშიც როგორც საკლები, ისე მაკლები მრგვალი  
 ოცეულიანი რიცხვებია (მაგ., 60—20).

ბ. მაგალითები, რომელშიც საკლები მრგვალი რიცხვია, რომელიც ოცეუ-  
 ლებს და ათეულებს შეიცავს; მაკლები კი—მხოლოდ ოცეულებს შეიცავს (მაგ.,  
 90—40).

გ. მაგალითები, რომელშიც საკლებიც და მაკლებიც მრგვალ რიცხვებს  
 წარმოადგენს, მაგრამ შეიცავს ოცეულებს ათეულით (მაგ., 90—30).

2) მაგალითების მეორე ტიპის ვარიანტები ასეთია:

ა. საკლები ერთეულებიანი, ათეულებიანი და ოცეულებიანი რიცხვია, მაკ-  
 ლები კი მრგვალი რიცხვი (მაგ., 56—40; 55—30).

ბ. საკლები მრგვალი ოცეულებიანი რიცხვია, მაკლები ოცეულებს და ერ-  
 თეულებს შეიცავს (მაგ., 100—42; 60—23).

გ. საკლები მრგვალი ოცეულებიანი რიცხვია, მაკლები ოცეულებს, ათეუ-  
 ლებსა და ერთეულებს შეიცავს (მაგ., 80—35; 100—35).

დ. საკლები ოცეულებიანი და ათეულიანი მრგვალი რიცხვია, მაკლები  
 შეიცავს ოცეულებს, ათეულს და ერთეულებსაც (მაგ., 70—39; 50—34).

3) მესამე ტიპის მაგალითების ვარიანტები ასეთია:

ა. საკლებიც და მაკლებიც ოცეულებს და ერთეულებს შეიცავს, მაგრამ გა-  
 მოკლების დროს ათეულებიდან სესხება საჭირო არ არის (მაგ., 88—45; 68—28).

ბ. საკლები ოცეულებს, ათეულებსა და ერთეულებს შეიცავს, მაკლები—  
 მხოლოდ ოცეულებს და ერთეულებს, მაგრამ ათეულებიდან სესხება საჭირო არ  
 არის (მაგ., 56—42; 98—46; 98—48).

გ. საკლები ოცეულებსა და ერთეულებს შეიცავს, მაკლები ოცეულებს,  
 ათეულებსა და ერთეულებს, მაგრამ ათეულებიდან სესხება საჭირო არ არის (მაგ., 85—32; 45—35).

4) მეორე ტიპის მაგალითების ვარიანტი ასეთია:

ა. საკლებიც და მაკლებიც ოცეულებსა და ერთეულებს შეიცავს, ხოლო გა-  
 მოკლებისას აუცილებელი ხდება ათეულებიდან სესხება (მაგ., 61—46; 63—28;  
 83—47).

<sup>1</sup> მიმატებაზე ცდების შედეგები და ანალიზი იხილეთ „მოამბე“, ტომი III, გვ. 424.

8. საკლები ოცეულებს, ათეულსა და ერთეულებს შეიცავს, მაკლები—ოცეულებსა და ერთეულებს. გამოკლების დროს საჭიროა სესხება (მაგ., 58—29).

9. საკლები მხოლოდ ოცეულებსა და ერთეულებს შეიცავს, მაკლები—ოცეულებს, ათეულსა და ერთეულებსაც. გამოკლებისას საჭიროა სესხება (მაგ., 67—38).

10. საკლებიც და მაკლებიც ოცეულებს, ათეულსა და ერთეულებს შეიცავს. გამოკლებისას აუცილებელია სესხება (მაგ., 77—59; 95—36; 75—37; 76—58; 76—57).

## II. ც დ ე ბ ი

ცდები ჩატარდა ინდივიდუალურად იმავე ცდის-პირებთან, რომლებშეც მიმატების ცდები იყო ჩატარებული. ცდების ამ სერიაში მონაწილეობა მიიღო 9 ც. პ-მა. მაგალითები ც. პ-ს ორ სეანსად ეძლეოდა, თითო სეანსში 17 მაგალითი (სულ 34 მაგალითი)—ჯერ რუსულად, შემდეგ ქართულად. მაგალითები ცდების ამ სერიაში ეძლეოდა, ჩუმად, თავისითვის გამოსაანგარიშებლად, შემდეგი ინსტრუქციით: „მე თქვენ გიკარნახებთ რუსულად მაგალითებს ორნიშნა რიცხვთა გამოკლებაზე. აწარმოეთ გამოკლება თქვენთვის და ნაშთი მითხარით. მნიშვნელობა აქვს გამოკლების სისწრაფეს და სისწორეს. ნიშანი დაგეწერებათ როგორც სისწრაფეში, ისე სისწორეში“.

გამოკლების დრო იზომებოდა იმგვარადვე, როგორც მიმატების ცდებში. ამავე სეანსში იგივე მაგალითები იმავე ც. პ-ს ეძლეოდა ქართულად. ც. პ-ს ეძლეოდა გაფრთხილება, რომ გამოსაანგარიშება უნდა აწარმოოს ქართულად; სხვა მხრივ ინსტრუქცია ისეთივე რჩებოდა, როგორიც რუსულად გამოსაანგარიშების დროს. ცდების შედეგები საშუალო დროის თვალსაზრისით მოცემულია 1-ლ ცხრილში:

ცხრილი 1

მაგალითები	რუს. დრო	ქართ. დრო	მაგალითები	რუს. დრო	ქართ. დრო	მაგალითები	რუს. დრო	ქართ. დრო
85—32	4,5	9,2	88—45	4	5,3	100—42	3	5,3
61—46	6,2	9,8	75—37	7,3	10,2	83—47	5,7	7,7
150—20	1	0,8	56—40	2,2	2	50—34	3,5	3,7
77—59	7,5	11,5	68—28	2,1	2	67—38	6	6,2
80—23	4,5	6,2	58—29	6,4	6,2	55—30	2,6	3
70—39	4,6	6,2	78—48	2,8	6,7	63—28	5,4	7,5
95—36	7,9	12,5	79—53	5,2	8,4	60—20	1	1
56—42	4,1	5,2	9—40	1,5	1,8	79—30	5,5	7,4
60—23	4,5	6	100—35	3	3,1	60—29	4,3	4,2
45—35	2,7	3,2	98—46	4,4	7,9	76—57	5	8
90—30	1,2	1,6	76—58	5,7	6,2	98—48	2,3	4,1
80—35	3,3	5,4						

ა. ამ ცხრილიდან ჩანს, რომ 34 მაგალითიდან 28 მაგალითი რუსულად გამოკლებისას უფრო ნაკლებ დროს საჭიროებს, ვიდრე ქართულად. 5 მაგალითი ნაკლებ დროს საჭიროებს ქართულად გამოკლებისას. ერთ მაგალითში თანაბარი შედეგია მიღებული. ნათელი ხდება, რომ ამის შიშები მხოლოდ რუსულად თვლის ათობითობაში უნდა ექტებოთ, ათობით გამოკლებას უპირატესო-



ბა აქვს სიიდვეილის თვალსაზრისით ოცნებითის წინაშე და ამიტომ გამოკლების პროცესიც უფრო სწრაფად მიმდინარეობს.

ბ. ამავე ცხრილიდან ჩანს, რომ ათობით გამოკლებას უპირატესობა აქვს სიზუსტის თვალსაზრისითაც. ც. პ-ების მიერ საერთოდ დაშეცდულ 79 შეცდო-მიდან—64 მოდის ოცნებით გამოკლებაზე, 15—ათობით გამოკლებაზე. მაშასა-დამე, ათობით გამოკლება უფრო სწრაფად და ზუსტად მიმდინარეობს, ვიდრე ოცნებით გამოკლება.

ცდების ამ სერიაში ც. პ-ბი გამოკლებას ჩემად, თავისთვის აწარმოებ-დნენ, ასე რომ თვითონ გამოკლების პროცესის უშუალოდ დაევირვების საშუა-ლება არ გვქონდა. სამაგიეროდ, ცდების ამ სერიის უპირატესობა ის იყო, რომ ც. პ-ები გამოკლებას იწარმოებდნენ თავისუფლად, ისე, როგორც ეს მათ უფრო მოსახერხებლად მიაჩნდათ. გამოკლების პროცესი მიმდინარეობდა ჩუ-მად, მეტყველების მონაწილეობის გარეშე. ც. პ-ი ისეთი გვყავდა, რომ მათი უმრავლესობა უკეთ ითვლის ქართულად (რადგან ქართველებია და განათლე-ბაც ქართულად აქვთ მიღებული), ვიდრე რუსულად. ზოგი მათგანი რუსულ სა-ლაპარავე ენას სუსტად ფლობს. თუ, მიუხედავად ამისა, ეს ც. პ-ი უფრო სწრაფად და ზუსტად მიინც რუსულ ენაზე ანგარიშობენ, ეს იმით უნდა აიხს-ნას, რომ რუსულს რიცხვითსახელებში რიცხვის ათობითი გამოსახულება პირ-დაპირ და იდექვატურადაა გამოხატული, ქართულში კი—არა.

ამ ცდებში გამოირკვა, რომ ვუკარნახებდით თუ არა ც. პ-ს გამოკლე-ბის მაგალითებს, უმრავლესობას ის დაწერილის სახით წარმოუდგებოდა, და ოპერაციებიც ამ დაწერილის, ამ ოპტიკური სურათის მიხედვით წარმოებდა. მაშასადამე, გამოკლების ოპერაციები რუსულადაც და ქართულადაც ფაქტიუ-რებ არა ოცნებით, არამედ ათობით სრულდებოდა. სწორედ ამიტომ შეიძლე-ბოდა გვეფიქრა, რომ ცდის-პირები რუსულად გამოანგარიშებას უფრო ზუსტად და სწრაფად მიტომ ახერხებდნენ, რომ მაგალითის ოპტიკური სურათი (რომე-ლიც მათ ექსპერიმენტორის მიერ კარნახის დროს წარმოუდგებოდა) და რუსული რიცხვითი სახელები ერთმანეთს შეესატყვისება. ხოლო ქართულად გამოანგარიშების სიძნეელს ის იწვევდა, რომ ქართული რიცხვითსახელები, რო-მელთაც ც. პ-ები იყენებენ ზეპირი გამოანგარიშების დროს, არ შეესატყვისე-ბა მაგალითების წერილობითს სურათს. მაგრამ, თუ ც. პ-ს სპეციალურად და-ვავალებდით ქართულად გამოკლების დროს გამოკლება ეწარმოებია არა ათო-ბით, არამედ ოცნებით, ე. ი. ქართული ზეპირი თვლის იდექვატურად და ამას-თანავე მაგალითის ოპტიკურ სურათს როგორმე გამოვრიცხავდით, ვინ იცის, შესაძლებელია, გამოკლება ქართულად უფრო ადვილი აღმოჩენილიყო, ვიდრე რუ-სულად. ამ საკითხის საკვლევად მეთოდში შეტანილ იქნა სათანადო ცვლილება.

### III. ცდების მეორე სერია

ამ სერიაში მონაწილეობა მიიღო 11-მა ც. პ-მა. მათიგივე მაგალითები ეძლე-ოდა იმავე წესით, მხოლოდ შემდეგი ინსტრუქციით: „მე თქვენ ვიყარ-ნახებთ ორნიშნა რიცხვთა გამოკლების მაგალითებს ქარ-

თულად. გამოკლება აწარმოეთ ხმაშალლა შემდეგი წესით: საკლებიდან ჯერ გამოაკელით მაკლების ოცეულები, შემდეგ—რაც დაგრჩეთ. გამოკლება აწარმოეთ სწრაფად, ზუსტად და მითხარით ნაშთი. ნიშანი დაგეწერებათ როგორც სისტრაფეში, ისე სიზუსტეში.

ამ ინსტრუქციით 17 მაგალითის ჩატარების შემდეგ იმავე ც. პ-ბს იგივე მაგალითები ეძლეოდა შემდეგი ინსტრუქციით: „მე თქვენ გიყარნახებთ ორნიშნა რიცხვთა გამოკლების მაგალითებს რუსულად. გამოკლება აწარმოეთ ხმაშალლა შემდეგი წესით: საკლებს ჯერ გამოაკელით მაკლების ოცეულები, შემდეგ—ერთეულები; გამოკლება აწარმოეთ სწრაფად, ზუსტად და ნაშთი მითხარით. ნიშანი დაგეწერებათ როგორც სისტრაფეში, ისე სიზუსტეში“. გამოკლების დრო იმგვარადვე იზომებოდა, როგორც მიმატების ცდებში. ცდების შედეგები მოცემულია მე-2 ცხრილში.

ცხრილი 2

მაგალითები	ოც. დრო	ათ. დრო	მაგალითები	ოც. დრო	ათ. დრო	მაგალითები	ოც. დრო	ათ. დრო
85—32	15	7,8	90—30	4,5	2,2	76—58	9	6,1
61—48	9,6	6,9	88—45	7,4	5,1	100—42	4,8	3,8
100—20	1,8	2	75—37	12	8,3	83—47	7,8	5,6
77—59	11	6,6	56—40	3,6	3,5	50—34	7,5	4
80—23	6	4,9	68—28	6	3,4	67—38	14	6,8
70—39	11,8	5,5	58—29	9,5	6,5	55—30	7,2	3,2
95—36	12	7,8	78—40	4,6	3,3	63—28	8,8	6,6
80—35	6	5,7	79—53	11	6,9	60—20	1,6	1,9*
56—42	7	5,8	90—40	3,4	2	79—33	11,4	5,6
60—23	5	4,3	100—35	7	4,3	60—29	4,7	4,4
45—35	8	5,3	98—46	9,7	6,4	76—57	10,5	6,2
						98—48	8,2	4,9

ცხრილი გვიჩერებს, რომ 34 მაგალითიდან 32 მაგალითი ათობით გამოკლებისას უფრო სწრაფად წყდება, ვიდრე ოცობით გამოკლებისას. ოცობითს გამოანგარიშებას უპირატესობა მხოლოდ ორ მაგალითში უჩანს. მაშასად ამე, მაგალითების 94 %-ს უპირატესობა ათობით გამოკლების დროს აქვს. ათობით გამოკლებას უპირატესობა აქვს სიზუსტის თვალსაზრისითაც. ც. პ-ბის მიერ საერთოდ დაშვებულ 48 შეცდომიდან 41 შეცდომა ოცობით გამოკლებაზე მოღის, ხოლო 7—ათობით გამოკლებაზე.

#### IV. შედეგების ანალიზი

რა უნდა იყოს ათობითი გამოკლების ამ უპირატესობის მიზეზი? რა იწვევს ოცობით გამოკლების სიძნელეს? ამ კითხვებზე პასუხის მისაღებად გავაანალიზოთ იმ მაგალითთა გამოანგარიშების პროცესი, რომელთაც ათობით გამოკლების დროს აქვთ უპირატესობა ყველა შემთვევაში, ე. ი. რომელთაც ყველა



ც. პ-ები ათობით უფრო სწრაფად და ზუსტად ანგარიშობენ, ვიდრე ოცნებით. ოქმი № 4, მაგალითი 85—32 შემდეგ სურათს იძლევა:

ოცნებით გამოკლებისას: 77—59 = (77—40) — 19 = 18

ათობით გამოკლებისას: 77—59 = (77—50) — 9 = 18

როგორც ამ ოქმიდან ჩანს, ათობით და ოცნებით გამოანგარიშებისას გამოკლების პროცედურა სხვადასხვაგვარია. განსხვავება იმაშია, რომ ოცნებით გამოკლებისას მეორე ოპერაციები ისევ ორნიშნა რიცხვებზე წარმოებს, მაშინ როდესაც ათობით გამოკლებისას აქ ორი ერთნიშნა რიცხვის გამოკლებასთან გვაქვს საქმე.

მაგრამ ოქმში ასახული ოპერაციები სრულებით ვერ ამოსწურავენ აზროვნების ოპერაციათა და იქტო სიმრავლეს, რომელსაც გამოკლების რეალური პროცესი საჭიროებს.

გავითვალისწინოთ თვალსაჩინოდ იმ აქტოა თანამიმდევრობის დაპირისპირება, რომელსაც ადგილი აქვს გამოანგარიშების ორივე შემთხვევაში. იყილოთ მაგალითი 85—32. აქ გამოკლების ოპერაციაში დაახლოებით შემდეგი აქტები უნდა ღებულობდეს მონაწილეობას:

#### ოცნებით გამოკლებისას:

1. გამოკლების შესაძლებლობის დადასტურება.
2. საკლების 85-ის დამასკოვრება.
3. მაკლების 32-ის დაშლა 20-ად და 12-ად.
4. ორნიშნა რიცხვის 12-ის დამასკოვრება.
5. საკლების 85-ის გაბრენება.
6. მისგან 20-ის გამოკლება,
7. ორნიშნა რიცხვის 12-ის გაბრენება.
8. 12-ის 5-ად და 7-ად დაშლა.
9. 65-ს გაბრენება.
10. მისგან 5-ის გამოკლება.
11. 60-დან 7-ის გამოკლება.

#### ათობით გამოკლებისას:

- |                                     |                                     |
|-------------------------------------|-------------------------------------|
| იგივე.                              | იგივე.                              |
| მაკლების 32-ის დაშლა 30-ად და 2-ად. | ერთნიშნა რიცხვის 2-ის დამასკოვრება. |
| მისგან 30-ის გამოკლება.             | იგივე.                              |
| 2-ის გაბრენება.                     | 2-ის გაბრენება.                     |
| 2-ის გაბრენება.                     | 2-ის გაბრენება.                     |
| 55-დან 2-ის გამოკლება.              |                                     |

ამ დაპირისპირებიდან ჩანს, რომ: а) ოცნებით გამოკლება ოპერაციების მეტ რიცხვს შეიცავს, ვიდრე ათობით გამოკლება. б) ოპერაციათა პირველ სამ წყვილს შორის სიძნელის მიხედვით შესამჩნევი განსხვავება არ არის. მაგრამ ოპერაციათა მეორეზე წყვილი, მესტიდე და უკანასკნელი არავითარ აქვს არ სტოკებს იმაში, რომ უფრო რთულია ოცნებით გამოკლება, ვიდრე ათობით. თუ ამას დავუმატებთ იმასაც, რომ ოცნებით გამოკლება სამ დამატებითს ოპერაციას მოითხოვს, რაც ათობით გამოკლებისას სრულებით საჭირო არ არის, ჩვენთვის ნათელი გახდება ოცნებით გამოკლების სიძნელისა და ათობით გამოკლების სიადგილის ნამდვილი მიზეზი. ამ მიზეზთა შორის მთავარია მეორე ოპერაციათა სირთულე ოცნებით გამოკლებისას და სიადგილე ათობით გამოკლებისას.

მაგრამ ოპერაციათა ამ დაპირისპირებას თუ ჩავუკეთდებით, დავინახავთ, რომ თვითეული ოპერაციის განხორციელების სუბიექტური სიტუაციაც არ არის ერთგვარი ათობით და ოცნებით გამოკლებისას. ცხადი უნდა იყოს, რომ, მაგ., ორნიშნა რიცხვის 12-ის დამასკოვრება და ორნიშნა რიცხვის 85-ის გა-

ხსენება ოცნებით გამოკლების შემთხვევაში უფრო ძნელ პირობებს უნდა ჰქონიდეს შემდგომ რპერაციათა საწარმოებლად, ვიდრე ათობით გამოკლებისას ერთნიშნა რიცხვის 2-ის დამახსოვრება და 85-ის გახსენება; ან კიდევ ოცნებით გამოკლების დროს მეორე რპერაციის შემდეგ ცდის-პირს უხდება 65-ს დამახსოვრება მანამ, სანამ ის არ შეასრულებს. შემდგომ ორ რპერაციის: 12-ის გახსენება და მისი დაშლა. ცხადია, 65-ის დამახსოვრების შემდგომმა ოპერაციებმა ხელი უნდა შეუწყონ 65-ის დავიწყებას და ამრიგად წარმოშვან შეცდომა. ამიტომ ჩვენთვის გასაგები ხდება, თუ რატომ იძლევა ოცნებით გამოკლება გაცილებით მეტ შეცდომებს, ვიდრე ათობით გამოკლება.

მაგრამ, როგორც მე-2 ცხრილიდან ჩანს, არის მაგალითები, რომელთა გამოანგარიშებისას უკუთხი შედეგები ოცნებით გამოკლების დროსაა მიღებული, ან ოცნებით და ათობით გამოკლებას შორის განსხვავება არ ჩანს. თეორიულად შეიძლებოდა ამ მაგალითებისათვის დაგვემატებია ის ვარიანტებიც, სადაც: ა) მაკლები მრგვალი ოცეულებია, ბ) საკლები მრგვალი ოცეულებიანი რიცხვია, მაკლები ოცეულებს და ერთეულებს შეიცავს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ ტიპის მაგალითებისათვისაც ოცნებით გამოანგარიშების უპირატესობა ცდებში არ ჩანს. ყველა დანარჩენი ტიპის ვარიანტებში, როგორც ექსპერიმენტული მონაცემებიდან და მისი ანალიზიდან ჩანს, უპარატესობა ათობით გამოკლებას აქვს. მაგრამ როგორიც იქნებოდა მათი ხელდროითი წონა საერთოდ გამოკლების ტაბულაში შესაძლებელ ვარიანტთა რიცხვში რიცხვში რიცხვთა გამოკლების ტაბულა 4085 ვარიანტს შეიცავს, აქედან 80—20-ის ტიპის მაგალითთა რაოდენობა 11-ს უდრის; 60—23-ის ტიპის მაგალითთა—90-ს; 78—40-ის ტიპისა—133-ს. მაშასადამე, გამოკლებისას უპირატესობის მქონედ საგულისხმებელ მაგალითთა რაოდენობა 234 უდრის. მაშინ იმ მაგალითების რაოდენობა, რომელთაც ათობით გამოკლებისას აქვთ უპირატესობა, იქნება  $4085 - 234 = 3851$ , ე. ი. ვარიანტების საერთო რიცხვის 94,4%.

#### V. შეცდომების ანალიზი

შე-3 ცხრილში მოცემულია შეცდომების განაწილება მაგალითებზე.

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტ შეცდომას მაგალითი 77—59 იძლევა. დაუპირისპიროთ ერთმანეთს შემცირარი და სწორი ნაშთები. ასეთ სურათს მიეკითხოთ: სწორი ნაშთის (18-ის) ნაცვლად გვაქვს შემცირარი ნაშთები 17, 17, 16, 19, 19, 19, 20. აქედან თითქოს ყველაზე ტიპიურ შეცდომის 19 უნდა წარმოადგენდეს. მაგრამ რატომ, მის გავება ძნელი ხდება. ოქმების გათვალისწინება გამოკლების პროცესში დამახსოვრებულ რიცხვთა აჩასწორიდ ალდგნაზე მიუთიოთ, მაგ., ერთ-ერთი ცდ. პ-ის ოქმის მიხედვით ისეთი სურათი გვაქვს: ეს ც. პ-ის ოცნებით გამოკლებას ასე ახდენს:  $77 - 59 = (77 - 40) - 19 = 17$ . აქ ნაშთში ერთშია შეცდომა. მეორე ც. პ-ის ოცნებით გამოკლების ასე აწარმოებს:  $77 - 59 = (77 - 40) - 10 - 17 = 20$ . აქ შეცდომა უნდა აიხსნოს მეორე რპერაციის მაკლების (19) დავიწყებით და 37-ის 17-ის პერსევერაციით. შესაძლებელია 17 პერსევერაციამ გამოიწვია ნამდვილი მაკლების

ცხრილი 3

მაგალითი	შეტ.	ჯამი	რიც.	მაგალითი	შეტ.	ჯამი	რიც.	მაგალითი	შეტ.	ჯამი	რიც.	მაგალითი	შეტ.	ჯამი	რიც.
85—32	37	4	70—39	28	1	58—29	28		1	67—38	25				4
	43				2	78—40	28		1		31				
	58					79—57	16		2		22				
	73		80—35	25	1		25				19				
77—59	17	7	95—36	39	2	90—40	40		2	63—28	55				2
	20		39				40				25				
	17		56—42	24	1	98—46	42		1	79—33	48				4
	19		90—30	70	1	83—47	35		1		26				
	16		88—45	37	1	50—34	24		1		26				
	19		75—37	39	2	98—48	40		2		25				
	19			28			48			76—57	9				1

19-ის დაგიწყება. ამ მაგალითის შეცდომების სიმრავლის მიზეზი იმაშიც უნდა მდგომარეობდეს, რომ ის ოცნებით გამოკლების ყველა სიძნელეს შეიცავს.

ვაგრამ მე-3 ცხრილში ოცნებით აღრიცხვასთან დაკავშირებული და ამ თვალსაზრისით ტიპიური შეცდომებიც მოიპოვება. მაგალითად:

$$85-32 = 43 \quad (53); \quad 80-35 = 25 \quad (45);$$

$$79-33 = 26,26 \quad (46); \quad 79-33 = 36.$$

ამ შეცდომების წყაროს უმცესებად წარმოადგენს ზეპირი თელის ოცნებითობის რაცხვის ათობით გამოსახულებასთან შეუსატყვისობა. მაგ., როდესაც საჭიროა ითქვას „ორმოცდაცამეტი“ ც. პ-რი ამბობს „ორმოცდასამი“, ხოლო როდესაც უნდა ითქვას „ორმოცდახუთი“, ამბობს „ოცდახუთი“. ცხადია, რომ შეცდომის წყაროს აღრიცხვის ათიანი და ოციანი საფუძვლის აღრევა წარმოადგენს. მაშასადამე, გამოკლების ცდების მიხედვით მულავნდება არა მხოლოდ შეცდომები, რომელიც გამოწვეულია ოცნებით გამოკლების ოპერაციით სირთულით, არამედ შეცდომებიც, რომელთა მსგავსიც მიმატების ცდებშიც დადასტურდა. ეს არის შეცდომები, რომელიც ოცნებით ანგარიშის განწყობის ფიქსაციის ნიადაგზე ყოველთვის იჩენს თავს არითმეტიკულ ოპერაციებში, როგორც აღრიცხვის საფუძვლების აღრევის რეციდივი, და ჰქმნის შეცდომების წყაროს. ანალოგიური შეცდომები სრულებით უცხო უნდა იყოს იმ ენებისთვის, რომელთა რიცხვითს სახელებში არითმეტიკულ რიცხვთა ათობით გამოსახულება აღექვატურადა გამოხატული.

ამრიგად, გამოკლებაზე ცდების შედეგები და მისი ანილიზი გვიჩვენებს:

1. ორნიშნა რიცხვთა ზეპირი გამოკლება ათობით გაცილებით უფრო სწრაფად ხდება, ვიდრე ოცნებით, ე. ი. ქართული ზეპირი აღრიცხვის სისტემის აღექვაზე ტურად.

2. ორნიშნა რიცხვთა ზეპირი გამოკლება ათობით გაცილებით უფრო ზუსტად მიმდინარეობს, ვიდრე ოცნებით გამოკლება, რისი მიზეზიც ამ უკანასკნელისათვის საჭირო გონებრივ თვერაციათა სირთულეშიც.



3. ჩვენი ქართული ზეპირი თვლის ოცნებითობის ნიადაგზე ხდება ოცნებით თვლის განწყობის ფაქსაცია, რომელიც ზეპირ არითმეტიკულ მატერიალით უთველთვის იჩენს თავს არითმეტიკული რიცხვის ათაანი საფუძვლის ოცნებით შეცვლის სახით და ამ ნიადაგზე წარმოდგება სპეციფიკური შეცვლები.

ჩვენ სპეციალური ცდები არ ჩაგვიტარებია ორნიშნა რიცხვთა გამრავლება-გაყოფაზე, მაგრამ ორნიშნა რიცხვთა მიმატება-გამოკლებაზე ჩატარებული ცდების შედეგები მოსალოდნელად ხდის იმას, რომ ათობითს სისტემას უპირატესობა იქაც უნდა ჰქონდეს.

ამრიგად, ჩვენი ცდები მიმატებაზე და გამოკლებაზე უკეთ სიცხადით უჩვენებს ქართული რიცხვითი სახელების ათობითს სისტემაზე გადაყვანის მიზანშეწონილებას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფინანსობრივი სექტორი

(შემოვიდა რედაქციაში 16.9.1942)

## ПСИХОЛОГИЯ

А. МОСИАВА

### НЕКОТОРЫЕ ТРУДНОСТИ, ВЫТЕКАЮЩИЕ ИЗ ДВАДЦАТИЧНОСТИ ГРУЗИНСКОГО УСТНОГО СЧЕТА

Опыты над вычитанием<sup>1</sup>

#### Резюме

Эксперименты, проведенные над устным вычитанием двузначных чисел, показали, что несоответствие грузинского устного счета с десятичностью системы счисления и обозначения чисел в арифметике порождают некоторые трудности, в частности, и для производства операции вычитания.

Сравнение процесса вычитания двадцатками с вычитанием десятками показало, что испытуемые вычитывают десятками гораздо быстрее (среднее время вычитания десятками 5 секунд, двадцатками—7,6 секунд) и гораздо точнее (из 127 ошибок на вычитание двадцатками падает 105 ошибок; на вычитание десятками—22 ошибки), чем двадцатками.

Причиной этого является: а) сложность вторых операций при вычитании двадцатками, что часто обусловливает забывание уменьшаемого или вычитаемого; б) действие установки вычитания двадцатками, проявляющееся в смешении основ счисления—десятиков с двадцатками.

Академия Наук Грузинской ССР

Сектор психологии

<sup>1</sup> Результаты опытов над сложением см. в Сообщениях Академии Наук Грузинской ССР, т. III.



ЯЗЫКОВЕДЕНИЕ

академик А. Г. ШАНИДЗЕ

ИЗМЕНЕНИЕ СИСТЕМЫ ВЫРАЖЕНИЯ ГЛАГОЛЬНОЙ КАТЕГОРИИ ВИДА В ГРУЗИНСКОМ И ЕГО ПОСЛЕДСТВИЯ<sup>1</sup>

Для выражения глагольной категории вида грузинский язык обладает двумя совершенно разными системами: одна характеризует древнегрузинский литературный язык, другая—новогрузинский.

В древнегрузинском вид был элементом спрягаемых форм глагола, названных мной рядами или скривами<sup>2</sup>. Система выражения совершенных и несовершенных форм была основана на противоположении тем скрив I и II серий: скривы I серии были несовершенными, а скривы II серии—совершенными<sup>3</sup>. Поэтому в видовом отношении соотносительными были, как уже отметил G. Deeters<sup>4</sup>, следующие скривы с однородным составом элементов (время, наклонение):

I серия (несоверш. вид).	II серия (соверш. вид).
1. Настоящая (აშუო): შთა-ვწერ («вписываю»).	1. —
2. Непрерывная (უწევებელი): შთა-ვწერდი («я вписывал»).	2. Прерывная (წევებილი): შთა-ვწერი («я вписал»).
3. I сослагательная (она же и будущая: შთა-ვწერდე («чтобы я вписывал»; «я буду вписывать»).	3. II сослагательная (она же и будущая) შთა-ვწერო («чтобы я вписал»; «я впишу»).
4. I повелительная შთა-წერი («вписывай»).	4. II повелительная შთა-წერი («впиши»).

Настоящее время изъяв. наклонения можно было передать только скривой I серии, поэтому скрива «настоящая», являясь сама по себе несовершенной, оставалась без соотносительной формы во II серии. Кроме

<sup>1</sup> Доложено на заседании АН Груз. ССР 7.XII.1942 г.

<sup>2</sup> Категория ряда в глаголе. Общие вопросы формообразований глаголов на примерах грузинского языка: Изв. института языка, истории и матер. культуры имени акад. Н. Я. Марра, X, 1941, 209—229.

Здесь предполагаю употреблять термин в его грузинской форме (ბუქრიზი «риз»), но обязательно с фонетическим упрощением—для облегчения произношения негрузинам: «скрива» (ж. р.).

<sup>3</sup> Во избежание недоразумений привожу и старые соответствия употребляемых мной названий скрив: а) настоящая—наст. время изъяв. •накл.; б) непрерывная—прош. несовершенное; с) прерывная—аорист (иногда: прош. совершенное).

<sup>4</sup> Das kharthwelsche Verbum, Lpz. 1930, pp. 138—141.



того, скрыва «многократная» из I серии, будучи недостаточной (имела только формы 3-ъего субъектного л.), не могла противополагаться такой же скриве II серии вследствие того, что категория многократности близка к категории несовершенного вида.

Что касается скрип III серии, то они, имея другой состав элементов, чем скрипты первых двух серий, лишены были категории вида.

Не обладали видом и склоняемые формы глагола (масдарные формы и причастия), ибо не было соотносительных форм, образованных от разных тем.

Таким образом, вид был присущ только спрягаемым формам глагола, но не всем, а только скривам I и II серий (т. е. «временам» и «наклонениям» первых двух групп). Глагольная приставка (преверб) в этом вопросе не имела ровно никакого значения.

Для иллюстрации сказанного приведем несколько примеров:  
1. *когда* *задом*<sup>у</sup>*ходите* *вот*, *тогда*<sup>у</sup>*зубом*? «Что искушаете меня, лицемеры»: (Мк. 12, 15).—Глагол имеет приставку (*задом*), но время—настоящее.

2. ბოლო მან პრეტენზია: მოვედ. და გარდამოვიდა პეტრე ნავით და მოვიდოდა იუსტია «Он же сказал: или сюда. И сошел Петр с лодки и подошел к Иисусу» (Мф. 14, 29).—Здесь оба глагола (მოვედ և მოვიდოდა) снабжены приставкой, но не это имеет значение для вида, а то, что მოვედ принадлежит ко II серии, а მოვიდოდა — к I. Поэтому მოვედ — соверш. вида, მოვიდოდა — несовершенного.) Зато პრეტენზია и გარდამოვიდა, будучи формами прерывной скривы («аориста»), в видовом отношении совершенны.

3. *Щеоду́ра ого, щео́щомбда* əɒs əɒ əɒ̄t̪mɒdɒ «Схватил его, душил и говорил» (Мф. 18, 28).—Здесь имеем три глагола: первый в форме прерывной скривы, второй и третий—в формах непрерывной. Поэтому первый имеет соверш. вид, второй и третий—несовершенный. Значит, несмотря на наличие у первых двух глаголов приставки (*Щеоду́ра*, *Щео́щомбда*), они разнятся в видовом отношении: *Щеоду́ра*—соверш. в. («схватил»), *Щео́щомбда*—несоверш. в. («дышил»), ибо стоят в скривах разных серий (по старой терминологии сказали бы: стоят во временах разных групп). В отношении категории вида они были бы равны только тогда, если бы стояли в одной и той же скриве: либо *Щеоду́ра* əɒ əɒ̄t̪mɒ ого (прерывная скрива, иначе «аорист»—«схватил и задушил его»), либо *Щеоду́рмбда* əɒ əɒ̄t̪mɒdɒ əɒs (непрерыв. скрива, или «прош. несоверш.»—«схватывал и дышил его»).

4. ხოლო იესუს სცა ჰოლტითა და მასცა ვთ «А Иисуса ударили плетью и предал им» (Мк. 15, 16).—Здесь имеются два глагола одного и того же корня: სცა и მა-სცა, различающиеся тем, что один из них снабжен приставкой მა. Тем не менее, оба они совершили вида, ибо стоят в прерывной скрипке (в «аористе»).

5. და სცემდეს მას თავსა ლერწმითა და პერწყულებს მას «И ударяли его по голове тростью и плевали на него» (Мк. 15, 21).—Здесь оба глагола

без приставки, но не это обуславливает их вид (несоверш.), а то обстоятельство, что оба стоят в непрерывной скриве (в «прош. несовершенном»).

6. და უბურა მას იტეუ ჰელი და განივაბა იგი გარეშე დაბახა მას და პერტუ თუალთა მისთა და დასდა მას ჰელი მისი და პიოთხა მას «И взял Иисус его за руку, вывел из селения, плонул ему на глаза, возложил на него руку и спросил его» (Мк. 8, 23).—Здесь пять глаголов, из которых три без приставки (უბურა, პერტუ, პიოთხა), а два с приставкой (გან-იცაბა, და-სდა). Тем не менее, все они соверш. вида, ибо стоят в прерывной скриве (в «аористе»).

7. ოქუებ ეცით მაგათ ჟამადი «Вы дайте им есть» (Мф. 14, 16).—Здесь глагол дан в форме повел. накл., входящего во II серию, поэтому он соверш. вида, хотя и не имеет приставки.

8. Вообще приставка в древнегрузинском не имела никакого отношения к виду. Развительный пример этого дает сопоставление двух мест из «Жития Григория Хандзийского»: а) და ერთობით ჯუარი დაწერეს აღ-გილსა მას და იტეს ხაჭედ—სენაკებისათვის ქუფაბისა დავიკებად ~~დ~~ II сообща осенили крестным знамением то место и приступили к делу (букв. начали делать) — выравнивать землю для келий» (7, 36—37); б) ხოლო ნეტარმან გრიგოლ ადგილი საეკლესიო დავაკა და, ვთარ დაიწყებდა ეკლესია, ეს ლოცვა ცრემლით წართქუ «Блаженный Григорий выровнял место для церкви и, когда он начинал (строить) церковь, со слезами произнес эту молитву» (10, 6). (В первом предложении იტეს не имеет приставки, но вид его совершенный (начали), ибо стоит в прерывной скриве (II сер.), тогда как гл. დაიწყებდა имеет приставку, но он несоверш. вида (начинал), ибо стоит в непрерывной скриве (I сер.).)

Приведенные примеры ясно показывают, что система, которой придерживается древнегруз. литературный язык в вопросе о видах, в типовом отношении напоминает греч. язык, где противополагаются друг другу темы настоящего и аориста: тема скриви наст. времени, со всеми относящимися сюда спрягаемыми и неспрягаемыми формами (скривами, инфинитивом, причастиями), является несовершенной, а тема аористной скриви (со всеми относящимися сюда формами)—совершенной.

Совсеменно другую картину мы видим в новогрузинском, где категория вида занесется на противоположений глагольных форм с приставкой и таковых без приставки: глаголы с приставкой имеют совершенный вид, а глаголы без приставки—несовершенный. Поэтому форма настоящего времени изъяв. накл., принимая приставку, превращается в форму будущего: წევ «пишу», დაწევ «напишу», ჩაწევ «впишу», «занишу», გადაწევ «перепишу» и т. п.) Словом, глагольная категория вида в новогрузинском в основном характеризуется теми особенностями, которые хорошо известны из славянских языков, в частности из русского.

Изучение способа выражения категории вида в историческом разрезе показывает, что одна система сменилась другой; оно показывает тот путь, который пройден грузинским языком от той системы, которая представлена в греческом<sup>1</sup>, до той системы, которую имеют славянские языки. Однако сходство, замечаемое в этом вопросе между древнегрузинским и греческим, с одной стороны, и между новогрузинским и славянскими, с другой, прослеживается только в общих чертах; в деталях же, конечно, имеются значительные расхождения; напр., в новогрузинском нет суффиксов, имеющих значение для вида (типа *решить*—*решать*, *склонить*—*склонять*) и поэтому нет возможности сохранить приставку в несоверш. виде, как это имеет место в русском (*списываю*, *переписываю*, *записываю* и т. п.).

Переход от одной системы к другой, совершаясь медленно и постепенно, имеет длинную историю. Среднегрузинские памятники (XI—XVII вв.) характеризуются параллельным употреблением форм обеих систем.

В древнегруз. памятниках, переписанных в X в., иногда попадаются примеры новой системы<sup>2</sup>). Так, напр., одно место из пророчества Захарии (13, 4) цитировало в евангелиях от Матфея и Марка так დემოს ამ: დავსუ მუკმი და განიბინებ ცხოვარნი «писано: поражу паstryя и рассеются овцы» (Мф. 26, 31; Мк. 14, 27). Некоторые списки евангелий (напр., Тбетский, 995 г.), здесь дают: დავსუ მუკმი და განიბინებ ცხოვარნი. Нет сомнения, что оба варианта (დავსუ მუკმი და დავსუ მუკმი) дают форму буд. вр. изъяв. накл. (греч. πατάξω τὸν ποιέα, арм. հարիս գնովին), но разными системами: დავსუ მუკმი—II сосл. (одновременно и буд. изъяв. наклон.)—система древнегрузинская, დავსუ მუკმი (буд. вр. изъяв. накл.)—система новогрузинская.)

Начиная с XI в., формы новой системы все больше пробивают себе путь в литературу. Весьма показательна в этом отношении поэма Руставели «Витязь в тигровой шкуре», которая изобилует примерами обеих систем.

Изменение системы выражения глагольной категории вида повлекло за собой весьма значительные перемены в груз. морфологии:

1. С переходом на новую систему категория вида вышла из системы спряжения и заняла место в словоизводстве, ибо этим она дала глаголу параллельные формы в скривах.

2. Создав параллельные формы, новая система произвела от скрив I серии новые скривы, различающиеся от основных не только по категории вида, но и по другим элементам (время, наклонение).

Таким образом, вместо 10 древнегрузинских скрив<sup>3</sup> получили 13 новогрузинских. Но все это произошло так, что не было создано ни одной новой формы: для передачи нового грамм. содержания использован

<sup>1</sup> Такая же система имеется отчасти и в древнеармянском.

<sup>2</sup> Не считаем скривы наст. многократной, рано вышедшей из употребления, а также скривы I повел., мало отличавшейся от непрерывной.

был существовавший фонд форм—формы с приставками были применены для выражения соверш. вида, а формы без них—для несоверш. вида.

3. Некоторые глаголы сумели удержать за собой соверш. вид во II серии и без приставок, а соответствующие им формы I серии, уподобившись в видовом отношении формам II серии, переместились в новые скривы: ვიდი—«я сказал», ვიტუ—«скажу». [В древнегрузинском последняя форма (точнее: ვიტუ) значила не «скажу», а «говорю»].

4. Исходной формой для будущего вр. изъяв. нацл. стала скрива наст. вр. изъяв. наклонения. Тем самым I и II сослагательные освободились от функций изъяв. наклонения. <sup>5</sup>

5. Приставка, приобретшая перфективирующую силу, перевела формы из группы наст. времени в группу будущего; вследствие этого в основных скривах (в настоящей, непрерывной, I сослагат.), оставшихся за несоверш. видом, не осталось никакого грамматического средства для выражения направления и ориентации.

6. Такое же положение создалось для глаголов несоверш. вида и в других сериях (II и III).

7. Скрива, называемая прерывной или аористом, в древнегрузинском выражала только соверш. вид, но ныне она может выражать оба вида (как совершенный, так и несовершенный):

მიღა და ვიდობ დაბალა აფშინი შულული გულისა

«Авшин скрывал, но не смог скрыть раны сердца» (Важа-Пшавела). То же можно сказать и о других скривах II серии.

8. Видовое различие проникло в третью серию скрив, а также в склоняемые формы глагола (причастие, масдар).

Одним словом, произошла значительная перегруппировка форм глагола и, между прочим, из I серии получились две группы скрив, различающихся по некоторым существенным признакам. Но так как обе группы имеют одинаковые синтаксические связи и, вдобавок, имеют много общего и в морфологическом отношении, из одной серии получились не вполне независимые группы, а подгруппы: подгруппа настоящей скривы и подгруппа будущей.

Резюмируя сказанное о последствиях изменения системы выражения вида в грузинском, мы должны сказать, что приставка дала глаголу вид на новой основе, а этот вид в тех случаях, когда он несовершенен, отнял у глагола приставку, и тем самым лишил его средства выражать направление и ориентацию, т. е. выражать отношение к разным пунктам в пространстве и к I лицу. Иначе говоря, приставка создала «новый» вид, причем последний в определенных случаях лишил глагол направления и ориентации.

Таким образом, категория вида отметила, так сказать, большой поворот в истории груз. языка, и тем самым дала основной различительный признак между древнегрузинским и новогрузинским. На грани этих двух стадий развития груз. языка лежит среднегрузинский язык, который характеризуется параллельным употреблением форм обеих систем, с постоянно усиливающейся тенденцией дать больший размах новой системе и предать забвению старую.

В новогрузинском имеется значительное количество форм, которые, относясь к старой системе, пережиточно сохранились до наших дней.

Пережитки старой системы прослеживаются и в других картвельских языках — мегрело-чанском и сванском; это свидетельствует, что переход от одной системы к другой имел место и в них.

Причиной изменения системы вида в грузинском послужило, несомненно, сращение приставки с глаголом: в древнегрузинском имеются многочисленные случаи тмезиса, они наличны и в среднегрузинском (напр., в поэме Руставели), но в новогрузинском их вовсе нет. С другой стороны, ускорение процесса перехода от одной системы к другой обусловлено было, вероятно, тем, что Грузия, порвав культурные связи с Передней Азией, вошла в тесное соприкосновение с Кавказским культурным миром.

Академия Наук Грузинской ССР

Digitized by srujanika@gmail.com

© 2023 കേരള സാഹിത്യ നാടക ഏജൻസി

ასპექტის გამოხატვის ცისტის უცვლა ჩართულ ა  
და მისი უღიერები

ქართულს მოეპოვება ორნაირი აპსექტი: ერთი—დამყარებული I და II სერიის ფორმათა დაპირისპირებაზე, მეორე—დამყარებული ზმნისწინიან 'და უნმნისწინ ფორმათა დაპირისპირებაზე' პირველი სისტემა ახასიათებს ძველ ქართულს, მეორე კი—ახალს. ისტორიული შესწავლა იმ საკითხისა ამჟღავნებს, რომ ქართულში არსებითად შეიცვალა ასპექტის გამოხატვის სისტემა. შეცვალის მიზეზი უნდა ვეძიოთ ზმნისწინის ზმნასთან შეხრდისა და მცილოდ დაკავშირებაში, ხოლო იმ პროცესის დაჩქრება უნდა მიეწეროს წინა აზიის კულტურულ ერებთან კავშირის შენელებას და კავკასიის ერებთან დაახლოებას.

უიკელია, რომ გრამატიკულ ნიშნებს შორის ასპექტის ჩვენება ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია ქართული ენის პერიოდიზაციის დასაღვენად.

ପ୍ରାଚୀର୍ଣ୍ଣଦେଶୀୟ ନିର୍ମାଣ ମେତ୍ରନିଯୋଗବାଦୀ ଏକାଙ୍ଗେମିତା

ენათლების და განვითარების

აკადემიკოსი გ. პხვლებიანი

ხელშეწილისა და თანხმოვნის მრთვანითისაგან გენერალური  
განვითარების საქართველოს

1. სამეტყველო ბგერათა დაყოფა ორ ჯგუფად—ხმოვნები და თანხმოვნები—მომდინარეობს ძველი დროიდან. იმდენად თვალსაჩინოა ხმოვნისა და თანხმოვნის ერთობერისაგან განსხვავება, რომ ჯერ კიდევ მეცნიერებამდელი გრამატიკა უდავოდ თვლიდა სამეტყველო ბგერათა ასეთ კლასიფიკაციას<sup>1</sup>. დღესაც—ზოგადისა და ექსპერიმენტული ფონეტიკის მძლავრი განვითარების ხანგში—თითქმის არავინ უარყოფს მას. მიუხედავად ამისა, ორ არსებობს საყოველთაოდ მიღებული აზრი იმის შესახებ, თუ რა ქმნის განსხვავებას ხმოვანსა და თანხმოვანს შორის და, მაშინადამე, რას უნდა ემყარებოდეს ხსენებული კლასიფიკაცია.

გამოთქმულია მრავალი ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრი<sup>2</sup>). ყველაზე სწორად შეიძლება ჩაითვალოს მეცნ- ა ზრი ([1], 149), თუ მას ასეთი სახე მიცემა: ხმოვანსა და თანხმოვანს შორის ის განსხვავებაა ჩვეულებრივის ხმამაღილ მეტყველებაში, რომ ხმოვანი იწარმოება ხმის გამოლებით საწარმოთქმო ორგანოების გარეულ მდგომარეობაში შეჩერებისას, ხოლო თანხმოვანი—ხმის ან ჩქამის გამოლებით საწარმოთქმო ორგანოების მოძრაობისას. ამ ზოგადი მოსაზრების კონკრეტიზაციად შეიძლება ჩავთვალოთ თავისთავად სწორი აზრი ტრუბეციისა ([2], 84)<sup>3</sup> და ჭორბეგის ([3], 65)<sup>4</sup>. მართლაც, საწარმოთქმო ორგანოების გარეულ მდგომარეობაში შეჩერებისას ბგერის წარმოთქმა გულისხმობს რეზონატორის გარეულ მედევ ფორმასაც და დაუბრკოლებლობა—

2) მართალია, მაგ., ძველ საბერძნეთში, სადაც ბგერათა („ასოთა“) კლასიფიკაცია საერთოდ მოცემული იყო უკვე V—IV სს., „ნახევარბმოვნებსაც“ (თა წმიდა ფახუა) სცნობდნენ ხმოვნებისა (თა ფახუანთა) და უმოვების (თა შპახუა) გვერდით, მაგრამ ნახევარბმოვნები (იუსტუსმეთდა, σ, τ, ζ, ξ, ψ, λ, μ, ν, ρ) და უბმები (წარმოდგენილი იუვნენ ერთ კლასად (საქართველო—თანხმოვნები). დაახლოებით ასევე ჰერონდათ წარმოდგენილი ბგერათა დაჯგუფება დევლ ინდუსტრია (IV ს.)—იმ განსხვავებით, რომ ნახევარბმოვნებად ფულიდნენ 1, 2, 3 და 4-ს.

3) „სედმეტად მიმართა ჩამოვთვალი აქ მრავალი სხვადასხვა ავტორისა და მიმართულების შესედულებანი ამ საკითხში; მსურველს შეუძლია გაეცნოს მათ უახლესი ლიტერატურით, რაგ [9 და 3].

4) „ხმოვანი განისაზღვრება პირისლრუს რეზონატორის ფორმით, ხოლო თანხმოვანი—ამ ღრუში შექმნილი დაბრკოლებით“.

5) „თანხმოვანს ახასიათებს დაბრკოლების შექმნა და მისი დაძლევა, ხოლო ხმოვანს—დაუბრკოლებლობა“.

საც—ესაა ხმოვნის წარმოთქმის პირობები; მეორე მხრივ, პირისღრუშში ორგანოების საწარმოთქმო მოძრაობა გულისხმობს როგორც დაბრკოლების შექმნას, ისე მისს დაძლევას. მეტადრე ნაყოფიერად მიგააჩნია ფორმების მიერ მეტრი საზღვრის დაფრება ხმოვანსა და თანხმოვანს შორის, სახელდობრ, რეზონარორის როლის გახაზვით ხმოვანთა წარმოთქმაში; აგრეთვე—იმ საყურადღებო ფაქტის შემჩნევით, რომ ხმოვნის წარმოთქმაში მონაწილეობს (და ჰქმნის რეზონარორის გარკვეულ ფორმას) პირის კუთხები (ტუჩების მომრგვალება-გასწერივობა), ენის ზურვი (წინა-უკანაობა) და პირის საფუძველი (ზედა-ქვედაობა), ხოლო თანხმოვნის წარმოთქმისას არტიკულირობს შესაბამისად ერთ-ერთი სამ ორგანოთაგანი (ქვედა ტუჩი, წინაუნა, უკანაუნა), დანარჩენი ორი კი ნეიტრალურ მდგომარეობაში იმყოფება ([3], 58). ამით ფორმების სტატუსი იმ სიძნელეს, რომელსაც ჰქმნიდნენ ბერიათა კლასიფიცირებისას ნაპრალოვანი თანხმოვნები.

ამგვარად, ხმოვანი და თანხმოვანი განსხვავებული ბერებია. განსხვავებულია ისინი ყოველ ენაში დროის გარკვეულ მონაკვეთზე, განსხვავებულია მათი ისტორიული განვითარებაც და, ჩვენი აზრით, განსხვავდებიან ისინი ერთ-მანერისაგან გენეზისურად აც, ე. ი. მათ შორის ფიზიოლოგიური და სოციალური განსხვავების სათავე მათ გენეზისურ განსხვავებაშია

ამ უკანასკნელი საკითხის დასმა—და მით უშეტეს მისი გადაჭრა—ერთ-ერთი კარიბინალურ საკითხთაგანია საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხთა რიგში. მეტიც შეიძლება ითქვას: სამეტყველო ბერიათა წარმოშობის საკითხის გადაჭრას შეუძლია გადამწყვეტი სიტყვა თქვას საერთოდ მეტყველების წარმოშობის საკითხში, რადგანაც არაფერი ენობრივი არაა ისეთი სიერთო რამ ყოველი ენისათვის, როგორც ფიზიკურ-ბიოლოგიური ბერის გამოყენება სამეტყველო მასალად. ცნობილია მარქს—ენგელსის შემდგვი აზრი:

“... (მარქსია) გვევლინება აქ (იგულისხმება: ენაში) ჰაერის მოძრავ ფენათა სახით, ბერის სახით,—ერთი სიტყვით, მეტყველების სახით“ ([4], 20). არა თუ გრამატიკული ფორმა, რომლითაც ენები ერთმანეთისაგან ძლიერად განსხვავებული (ზოგ ენას არც კი აქვს იგი!), არამედ თვით სიტყვის მნიშვნელობაც არ შეიძლება ჩაითვალოს იმდენად სპეციფიკურ მოვლენად ბერითი მეტყველებისათვის, როგორც სამეტყველო ბერა.

“... (პირელყოფილი ადამიანები) ლაყბობდნენ მხიარულად და დაუდევოდ (in den Tag hinein) და ბევრს არ ფიქრობდნენ თითოეული სიტყვის ზუსტ მნიშვნელობაზეო“, — ამბობს დანიის გამოჩენილი ენათმეცნიერი ჯესპერსენ ([5], 423).

მაშასდაცე, წარმოთქმა-მეტყველებისათვის არაა აუცილებელი არა თუ გრამატიკული ფორმა, არამედ მნიშვნელობაც კი. ამიტომ მეტყველების განვითარების პირველი ჩანასახებისათვის ჩვენ ვხმარობთ ტერმინს „წარმოთქმა-მეტყველება“, რითაც გვინდა ვთქვათ, რომ გარკვეულ სტადიაში წარმოთქმა იგივე მეტყველებაა (იხ. ქვემოთ დეიქტიკურისა და სიგნიფიკაციური ფუნქციების შესახებ).

2. ხმოვნისა და თანხმოვნის ერთმანეთისაგან განსხვავება, ადამიანის განვითარების შორეულ წარსულში, დასტურდება ლოგოპედიის მიერ ენამოშლი-



ლობის ზოგიერთი ფორმის განხილვისას; დასტურდება იგი აღამიანის ბგერითი მეტყველების, ე. ი. „წარმოთქმა-მეტყველების“, ჩასახვისთანავე.

ცნობილია, რომ აღამიანში განსხვავებულია, დაზიანების შესაძლებლობის თვალსაზრისით, მის მიერ ფილოგნეტურად აღრე თუ გვიან შენაძენი. თუ ამ მხრივ შევხედავთ ხმოვანსა და თანხმოვანს, აღმოჩნდება, რომ ისინი სხვადასხვა ხნოვანობის არიან აღამიანის წარმოთქმა-მეტყველების ისტორიაში; მრავალგვარი ენამოშლილობის დროს ზიანდება ჩვეულებრივ თანხმოვნები, ხოლო ხმოვნები—არა, ან ძლიერ იშვიათად. ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საბუთთავანია ხმოვნების პირველადობის სასარგებლოდ—სწორედ იმავე საფუძვლით, რა საფუძვლითაც წინავნის თანხმოვნების უფრო ადვილად დაზიანება იმით ისსნება, რომ ისინი უფრო გვიანდელი წარმოშობისანი არიან, ვიდრე უკანავნის თანხმოვნები; აგრეთვე ნაპრალოვნები ფილოგნეტურად უფრო გვიანდელი წარმონაქმია, ვიდრე გშულები: პირველნი უფრო ადვილად ზიანდებიან, ვიდრე მეორენი.

შესაძლებელია მოვიყენოთ სხვა მოსაზრებანიც, რომელნიც ამ პირველ, ფრიად მნიშვნელოვან, მითითებას აღასტურებენ.

3. როგორც ცნობილია, წარმოთქმა-მეტყველების განვითარების პირველი ჩანასახები იგულისხმება სიმღერასთან სინკრეტულად შერწყმული, ამასთანავე მეტად ემოციური, ვიდრე მეტყველების, როგორც ასეთს, დიფერენცირების შემდეგ გვიანდელ სტადიებში. როგორც ერთი (სიმღერასთან კავშირი), ისე შეორე (ემოციურობა) ლაპარაკობს წარმოთქმის იმდროინდელი ხმოვნურობის სასარგებლოდ, რადგანაც ორივესათვის უფრო შესაფერია ხმოვანი, ვიდრე თანხმოვანი.

ბგერითი მეტყველების უეჭველი კავშირის გამო სხეულმოძრაობითს მეტყველებასთან, რაც აგრეთვე ცნობილია, წარმოთქმა-მეტყველებას უნდა ჰქონდა უმთავრესად ინდიკატური ანუ, უფრო სწორი იქნება ვთქვათ, დეიქტიკური (მითითებითი) დაინშულება, რაც უფრო ადვილად შესასრულებელი იქნებოდა, მეტადრე დაშორებულ მანძილზე, ხმოვნით, ვიდრე თანხმოვნით.

იგულისხმება, რომ ამ საფეხურზე წარმოთქმა-მეტყველებას აქვს შხოლოდ დეიქტიკური, და არა სიგნიფიკაციური ფუნქცია, რომელიც ვითარდება სხეულმოძრაობითი მეტყველების დასუსტების კვალობაზე. პრიმიტიულ ენათა პოლისებინტიზმი და ამორფულობა წარმოთქმა-მეტყველების დეიქტიკურობის დროინდელი ნაშთი უნდა იყოს, რამდენადაც მითითებას შეუძლია შეასრულოს გარეულ სიტუაციაში როგორც სემანტიკური, ისე გრამატიკული ფუნქცია.

4. ბიოლოგიური ბგერა, რომელიც აღამიანში თავისი ენობრივ შემოქმედებაში გამოიყენა ბგერითი მეტყველების მასალად და რომელიც ამ გზით სოციალური ლირებულებისად ქვედა, თავისი გენეზისით ცხოველური ბგერა, რომელიც ქუმუმწოვრებს ხმოვნისებური აქვთ; მათი ბგერითი რეაქციები აფექტურ მღვმიარეობათა გამოსახატავდ უმთავრესად სწორედ ხმოვნურია: ზმული, ბლავილი, ლუილი და მსგავსი ბგერები ხმიერია (ჩქამარევი) და არა უშმო ანუ მხოლოდ ჩქამიერი. მაგრამ იგი მოკლებულია არტიტულაციას და წარმოადგენს დაახლოებით იმ „პრიმიტიულ ხმოვნს“, რომელსაც „არაარტიტულირე-

ბულ“, სუსტ ხმოვანს (მაგ., გერმ. e სიტყვაში laufe,—აღინიშნება ო ნიშნით) ეძახიან: ის წარმოადგენს თითქმის მხოლოდ ხმის გამოლებას საწარმოთქმო თრგანოების ინდიფერენტულ მდგომარეობაში. თუ მოვიგონებთ ხმოვნის ზემოთ-მოყვანილ განსაზღვრას („ხმის გამოლება საწარმოთქმო თრგანოთა გარკვეულ მდგომარეობაში შეჩერებისას“), დავინიხავთ, რომ საერთოდ ხმოვანს დღემდე დაცული აქვს თავისი პირების დღეულური (ცხოველური) ხასიათი; ცვლილება, რა-საკვირველია, განუცდია ხმოვნებს, თავისი, ასე ვთქვათ, გასოციალურების გა-მო, სახელდობრ: ხმოვანთა წარმოთქმისას თრგანოთა მდგომარეობა აღარაა ინდიფერენტული, მომხდარა მათი საარტიკულაციო აქტივიზაცია, მაგრამ თან-ხმოვნისათვის დამახასიათებელი დიფერენცირებული არტიკულაცია ხმოვანს მა-ინც არა აქვს (იხ. ზემოთ ჭორხხამერის დაკვირვება საწარმოთქმო თრგანოთა მომაწილეობის შესახებ ხმოვნისა და თანხმოვნის წარმოთქმისას).

5. თუ ადამიანის განეითარების განხილულ საფეხურზე—გაადამიანების მიჯნაზე—„წარმოთქმა-მეტყველება“ უმთავრესად ნმოვნურია, გაადამიანებულის მეტყველება უკვე თანხმოვნურია უმთავრესად. შეიძლება ითქვას, რომ ადამია-ნური მეტყველება იწყება დიფერენცირებული არტიკულაცით, რაც სწორედ თანხმოვნისათვისაა დამახასიათებელი (იხ. ზემოთ). თანხმოვანია, ზღვარს რომ სდებს, ამ მხრივ, ცხოველსა და ადამიანს შორის, რამდენადაც არც ერთ ძუძუ-მწოვარს არა აქვს არტიკულირებული წარმოთქმა, არა აქვს თანხმოვანი.

მეტყველების სიგნიფიკაციური ფუნქცია ამ სტადიის მონაპოვარი უნდა იყოს, რამდენადაც დეიქტიკური მიზნებისათვის თანხმოვნები ნაკლებ გამოსა-დევნი არიან: მითითება სუსტდება სხეულმოძრაობითი მეტყველების დაუსტე-ბასთან ერთად; ძლიერდება მეტყველების სიგნიფიკაციური ფუნქცია.

ამგვარად, ბიოლოგიური პირებისა ხმოვანი, ხოლო სოციალურად—თანხმოვანი. ამით აიხსნება, კერძოდ, ხმოვანთა მეტი გამძლეობა ენამოშლი-ლობის შემთხვევებში. თანხმოვანთა პირველადობის შესახებ სხვა კონტექსტში და სხვა საბუთიანობით დასვა საკითხი ა. ვ. დესნიცკაიამ [8].

6. ამ ბოლო ხანებში გამოსული სამეცნიერო ლიტერატურიდან. ამ საკით-ხების შესახებ ცნობილია ჰოლანდიელი დიდი ენათმეცნიერის ვან გინეკენისა [5] და გამოჩენილი ვენელი ლოგოპედის ჭროეშელსის [7] შრომები. გინეკენის ვრცელი შრომა ბევრგვარადა საინტერესო ჩვენთვის: გარდა იმისა, რომ, მისი აზრით, კაცობრიობის განვითარების ისტორიაში „ხმოვნებს მეტი მნიშვნელობა აქვთ ახალ ენებში, ხოლო თანხმოვნებს—დევლ ენებში“ და „პირველი სამეტყვე-ლო ბგერები ე. წ. ჭლაბუნა თანხმოვნები უნდა ყოფილიყვნებონ“,—ასეთ უძვე-ლებს ხმოვანთა გადმონაშთებს გინეკენი პოულობს კავკასიურ ენებში ლატერა-ლური თანხმოვნების სახით; კერძოდ, ქართველურ ენებში გვაქვს, მისი აზრით, ძველი ლატერალების მხოლოდ სურიგატები.

იქ ჩვენ გვაინტერესებს გინეკენის მხოლოდ პირველი დებულება მას სა-ერთოდ ეთანხმება ჩვენი ზემოთმოყვანილი მოსაზრება, რამდენადაც გინეკენს გათვალისწინებული აქვს მხოლოდ, ჩვენი ტერმინოლოგიით, მეტყველების გან-ვითარების მეორე, თანხმოვნური საფეხური.

რაც შეეხება ჭროეშელს, მისი აზრით, სამეტყველო ბგერის წარმოშო-



ზა დაკავშირებულია ქამის პროცესთან. მისი ლოგოპედიური დაკავირვებით, წარმოსახვითი ჰამა სპობს მეტყველების ზოგიერთ მოშლილობას, მაგ., ენაბლუბას (ლოგონექორობის). როგორც ჩანს, ფრონტელსს მხედველობაში აქვს თანხმოვანთა განვითარება ქამის პროცესიდან, რაც უკვე ცხოველურ ბგერებშიც ჩანს ჩვენი აზრი სრულიად საწინააღმდეგოა, რაღაც თანხმოვანს ჩვენ ვთვლით მხოლოდ ადამიანური მეტყველების დამახასიათებლად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
აკად. ნ. მარის სახელობის ენის ინსტიტუტი

თბილისი

(შემოვიდა რედაქციაში 10.11.1942)

## ЯЗЫКОВЕДЕНИИ

